



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგოლ მიტროპოლიტი

გრიგოლ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – გიორგი ალექსანდრეს ძე ც ე რ ც ვ ა ძ ე) (18. V. 1910, სოფ. ვაზისუბანი, ახლანდ. თელავის მუნიც. II. 1992), სასულიერო მოღვაწე.

1933-35 იყო სამხ. სამსახურში, რ-ის დასრულების შემდეგ 1950-მდე სწავლობდა შუამთის სამონასტრო სკოლაში. თხუთმეტი წელი იყო თელავის წმ. გიორგის ეკლესიის მედავითნე. 1948 წ. 18 თებ. თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა დიაკვნად. იმავე წლის 24 თებ. თბილ. წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მღვდლად აკურთხეს და თელავის წმ. გიორგის ეკლესიაში განაწესეს. 1954 წ. 1 იანვრიდან თელავის ფერისცვალების ეკლესიის მღვდელმსახური იყო. 1971 მიენიჭა დეკანობის ხარისხი.

1976 წ. 21 მაისს კათოლიკოს-პატრიარქ დავით VI-ის კურთხევით აღიკვეცა ბერად და იმავე წლის 22 მაისს ეკურთხა აღავერდის ეპისკოპოსად. 1978 წ. 4 იანვ. გ. მ-ს ებოძა მიტროპოლიტის პატივი. 1980 წ. 15 ოქტ. დაჭილდოვდა სკუფიაზე ჭვრის ტარებისა და მეორე პანაღის ტარების უფლებით.

დაკრძალულია აღავერდის ტაძარში.

ლიტ.: ჟ ვ ა ნ ი ა 8., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994; ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბ., 2010.

